ავტობიოგრაფია

მე, ნიკოლოზ [redacted] დგებუაძე დავიბადე 1974 წლის 06 ივნისს, ქ. თბილისში, იურისტის ოჯახში. 1991 წელს დავამთავრე ქ. თბილისის 171-ე საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩავირიცხე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტთან არსებული თბილისის ჰუმანიტარული ინსტიტუტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე, რაც დავამთავრე 1996 წელს.

1997 წელს ჩავაბარე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ისტორია-იურიდიულ ფაკულტეტზე, სამართლამცოდნეობის სპეციალობით. აღნიშნული უნივერსიტეტი დავამთავრე 2002 წელს.

1996 წელს მუშობა დავიწყე საქართველოს პროკურატურაში განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლის თანაშემწეთ, ხოლო 1997 წლის მაისის თვიდან დავინიშნე ქვემო ქართლის სამხარეო პროკურატურის სტაჟიორ გამომძიებლის თანამდებობაზე, სადაც ვიმუშავე ორი წლის პერიოდში და შემდგომში მუშობა განვაგრძე გარდაბნის რაიონის პროკურატურის გამომძიებლის თანამდებობაზე. 2001 წლის აპრილის თვიდან 2002 წლის 01 ოქტომრის თვემდე პერიოდში ვმუშაობდი თბილისის გლდანისა და მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ პროკურატურებში ასევე გამომძიებლის თანამდებობებზე. 2002 წლის ნოებერში მუშობა გავაგრძელე საქართველოს გენერალურ პროკურატურაში, პროკურატურის ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს პროკურორად, ხოლო 2004 წლის 27 სექტემბერს დავინიშნე მცხეთის რაიონულ პოკურორად. 2010 წლის 16 ივლისს სამუშაოდ გადავედი გორის რაიონულ პროკურორად. 2011 წლის 27 ოქტომბერს გადმოყვანილი ვიქენი თბილისის დიდუბე ჩუღურეთის რაიონული პროკურორის მოადგილედ, ხოლო 2013 წლის 22 ნოემბრიდან 2018 წლის 22 თებერვლამდე ხელვმძღვანელობდი საქრთველოს მთავარ პროკურატურაში შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტს. ამჟამად მუშაობას განვაგრძობ თბილისის ვეკე-საბურთალოს რაიონული პროკურორის მოადგილის თანამდებობაზე. მინიჭებული მაქვს იუსტიციის უფროსი მრჩევლის სპეციალური წოდება.

2009 წლიდან დღემდე, სალექციო კურს ვატარებ ილიაუნის სახელმწიფო უნივერსიტეტში, როგორც მოწვეული ლექტორი.

მყავს მეუღლე - 1980 წელს დაბადეებული [redacted] და ორი შვილი - 1997 წელს დაბადებული [redacted] 2007 წელს დაბადებული [redacted]